ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოს შესახებ

მე, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესა და უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა მაკისრებს ვალდებულებას, საზოგადოებას წარვუდგინო ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ.

წლიური ანგარიშის წარდგენა არა მხოლოდ კანონით განსაზღვრული ვალდებულებაა, არამედ შესაძლებლობაც, ამომრჩევლებს მივაწოდო ინფორმაცია საკრებულოში განხორციელებული საქმიანობის, მოსახლეობასთან თანამშრომლობის, სოციალური საკითხების მოგვარებისა და ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

I. საკრებულოს კომისიებში საქმიანობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, თავიანთი სფეროების შესაბამისად.

თავად ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობ კომისიების მუშაობაში და მხარს ვუჭერ მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ინიციატივებს.

1. ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩემი მონაწილეობით გაიმართა კომისიის 15 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 48 საკითხი.

კომისიის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენას, საქალაქო მეურნეობის განვითარებას, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას, ასევე მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციოდ და სარგებლობაში გადასაცემად განსაზღვრული ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტის განხილვას.

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები განხორციელდა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში. განხორციელდა 7 ცვლილება, ხოლო ნუსხას დაემატა 26 ობიექტი.

აღნიშნული ობიექტების პრივატიზაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შესაძლებლობას ქმნის, რაც მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

მიმდინარე მოწვევის პერიოდში დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 9 სხდომას, რომლებზეც განხილული იქნა 20 საკითხი.

კომისიის მუშაობისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებას, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას და მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტიანად განაწილებას.

აღნიშნული საკითხები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რადგან ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და განკარგვაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც სოციალური პროგრამების განხორციელება, ისე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

II. საკრებულოს სხდომებსა და ფრაქციის საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 12 რიგითი და 2 რიგგარეშე სხდომა.

საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

ამავდროულად, ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი ფრაქციის 18 სხდომას, რომლებზეც განხილული იქნა 21 საკითხი.

ფრაქციისა და საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, პოზიციების შეჯერებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობას

III. სოციალური და საქველმოქმედო მიმართულებით საქმიანობა

როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებაში.

თითოეულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია, აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ახორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხვადასხვა სფეროს ღვაწმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

IV. მოსახლეობასთან შეხვედრები და სოციალური პროგრამები

როგორც საკრებულოს წევრს მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან. მოქალაქეები ძირითადად საყოფაცხოვრებო, მატერიალური, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური პრობლემებით მომმართავენ.

ვუსმენ თითოეული მოქალაქის საჭიროებას და ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, მივმართავ შესაბამის სამსახურებსა და უწყებებს პრობლემების მოგვარების მიზნით. საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა სახის შუამდგომლობა და დახმარება.

1. ერთჯერადი მატერიალური დახმარება

საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიღების მიზნით შუამდგომლობა გაეწია 66 მოქალაქეს. ჯამში გაცემული დახმარების ოდენობამ შეადგინა 19 250 ლარი.

2. გადაუდებელი რეაგირების პროგრამა

უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში გადაუდებელი რეაგირების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 15 მოქალაქეს. ჯამურად გაცემულმა თანხამ შეადგინა 11880 ლარი.

3. სამედიცინო დახმარების პროგრამა

სამედიცინო დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილია 1 693 532 ლარი. პროგრამით ჯამში 3327-მა მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის უქიმერიონის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 133 მოქალაქემ.

4. მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 117 950 ლარს. პროგრამით ისარგებლა 406 მოქალაქემ, რომელთაგან 67 უქიმერიონის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში 255 ბენეფიციარს გადაეცა სააღდგომო ვაუჩერი.

აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და საჭიროების მქონე მოქალაქეების მხარდაჭერას.

V. ინფრასტრუქტურული პროექტები უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში

2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

1. საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაცია

საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა სამუშაოები შემდეგ მისამართებზე:

- ბარნოვის ქუჩა №55 - 193 000 ლარი
- ჭაბუკიანის ქუჩა №18 - 71 900 ლარი
- გორკის ქუჩა №84 - 146 300 ლარი
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის IV შესახვევი №14
- ყაზბეგის ქუჩის მე-5 ჩიხი №36 - 42 300 ლარი
- კიკვიძის ქუჩის №33 - 961 900 ლარი
- კიკვიძის ქუჩის №10 - 196 600 ლარი
- კიკვიძის ქუჩის №12 - 92 500 ლარი
- ჭაბუკიანის ქუჩა №14 - ფერდის დამჭერი რკინაბეტონის საყრდენი კედელი - 34 600 ლარი

აღნიშნული სამუშაოები მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისთვის.

ასევე, დავით და კონსტანტინეს ქუჩა №19-ის მიმდებარედ მდებარე ფერდობზე სტიქიური მოვლენების განვითარების რისკის პრევენციის მიზნით მიმდინარეობს საჭირო სამუშაოები. პროექტის ღირებულება შეადგენს 131 900 ლარს.

2. გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის მიმართულებით, **რუსთაველის გამზირის X ჩიხის** მიმდებარედ განხორციელდა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

ასევე, **დია ჩიანელისა და თავისუფლების** ქუჩებზე ჩატარდა გზის საფარის ორმული შეკეთების სამუშაოები.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- დები იშხნელების ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
- კრილოვი ხეთაგუროვის ქუჩების დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა
- ონის №40-№42-ის მიმდებარედ გზის ბეტონის საფარით მოწყობა
- ყაზბეგის ქუჩის გზის ასფალტობეტონის საფარის რეაბილიტაცია
- ცაცხვების ქუჩის გზის ასფალტობეტონის საფარის რეაბილიტაცია

3. მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ავალიანის ქუჩის №4
- ავალიანის ქუჩის №6
- ავალიანის ქუჩის №8
- ავალიანის ქუჩის №10
- ავალიანის ქუჩის №12
- ავალიანის ქუჩის №14
- ავალიანის ქუჩის №21
- ონის ქუჩის №18
- კრილოვის ქუჩის №2
- ვაჟა-ფშაველას ქუჩის №11ა
- ალ. ყაზბეგის ქუჩის №14

4. სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს **13 900 000 ლარს**.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები და შესაბამისი საპროექტო ღონისძიებები მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს:

- **გაფრინდაშვილის ქუჩა** საკადასტრო კოდებით: 03.02.26.550 და 03.02.26.465 განსაზღვრული მიწის ნაკვეთები, მათ შორის არსებული და მიმდებარე ტერიტორია.
- **რუას ქუჩის I ჩიხი, №17-ის მიმდებარე ტერიტორია** დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

პროექტის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, გახარჯულია **8 000 000 ლარი**. სამუშაოების სრულად დასრულებამდე აღნიშნული თანხა გაიზრდება, სამუშაოების მიმდინარეობისა და საჭირო ღონისძიებების შესაბამისად.

რაც შეეხება პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ **კიკვიძის ქუჩის II ჩიხის №2-ისა და რუსთაველის გამზირის მეექვსე ჩიხის (ს/კ 03.02.26.102) მიმდებარე ტერიტორიებზე** სამუშაოებს, ამ ეტაპზე ისინი დროებით შეჩერებულია.

5. სადარბაზოების რეაბილიტაცია

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში სამუშაოები დასრულდა და ასევე მიმდინარეობს შემდეგ მისამართებზე:

- კრილოვის ქუჩა №5 1 სად.
- კრილოვის ქუჩა №5 2 სად.
- რუსთაველის გამზ №96 1 სად.
- რუსთაველის გამზ №96 4 სად.
- ბერაძის ქუჩა №3 1 სად.
- ბერაძის ქუჩა №3 2 სად.
- ავალიანის ქუჩა №10 1 სად.
- ავალიანის ქუჩა №10 2 სად.
- ავალიანის ქუჩა №8 1 სად.
- ავალიანის ქუჩა №8 2 სად.
- ონის ქუჩა №18ა 1 სად.
- ონის ქუჩა №18ა 1 კიბე
- კრილოვის ქუჩა №2 1 სად.

6. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება

სახურავების კაპიტალური შეკეთების პროგრამის ფარგლებში სამუშაოები დასრულდა შემდეგ მისამართებზე:

- ავალიანის ქუჩა №51 - 27,1 ათ.ლარი
- ბერაძის ქუჩა №1 სახ 21,0 ათ. ლარი
- რუსთაველის მე-8 ჩიხი №2 - 58,8 ათ.ლარი
- რუსთაველის გამზ. №116 - 58,6 ათ.ლარი
- ი. ბერიძის ქუჩა №6 - 7,7 ათ.ლარი

7. სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია

სპორტული, გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი სივრცეების გაუმჯობესების მიმართულებით **ჯავახიშვილის ქუჩა №16-ის** მიმდებარედ სპორტულ მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ჩემს ანგარიშში ყურადღება გავამახვილე, კონკრეტულად იმ საკითებზე და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად ვმონაწილეობდი და მივიღეთ დადებითი შედეგი. ყოველივე ამას, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის წინაშე. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელსაც ასეთი აქტიური და ნაყოფიერი სამუშაო წელი იქნება და კიდევ ბევრ კარგ პროექტსა თუ ინიციატივას ჩავუყრით საფუძველს, ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული
ერთეულების მაჟორიტარი

ამირან კოპალეიშვილი